საკანონმდებლო სიახლეების ცნობარი

(2023 წლის აგვისტო)

მოცემული ცნობარი შეეხება მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელიც განხორციელდა სხვადასხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებში 2023 წლის აგვისტოს თვეში.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №47/04

2023 წლის 1 აგვისტოს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №194/04 ბრძანებით „კომერციული ბანკების მიერ საოპერაციო რისკების მართვის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2014 წლის 13 ივნისის №47/04 ბრძანებაში შეტანილ იქნა ცვლილება და მე-2 მუხლის „კ“ ქვეპუნქტს დაემატა „კ[1]“ ქვეპუნტქი (კაუთსორსინგის რისკს); მე-4 მუხლის მე-5 პუნქტი (დირექტორიატი) ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით და ა.შ.

ზემოაღნიშნული ბრძანების ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდით: 220020040.18.011.016751

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №70/04

2023 წლის 3 აგვისტოს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №205/04 ბრძანებით „კომერციული ბანკების ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 15 მაისის №70/04

ბრძანებაში შეტანილ იქნა რიგი ცვლილებები, კერძოდ, მე-2 მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის „ვ“ ქვეპუნქტი:

„ვ) პირველი დონის საკრედიტო რისკის კატეგორიის ფინანსური ინსტრუმენტი – ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით დამტკიცებული „ფინანსური ინსტრუმენტების რისკის კატეგორიებისა და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრის წესით“ გათვალისწინებულ პირველი დონის საკრედიტო რისკის ფინანსური ინსტრუმენტების კრიტერიუმებს.“.

2. მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„3. მოსალოდნელი ფულადი შემოდინებების დათვლისას ბანკმა უნდა გაითვალისწინოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემოდინებები მხოლოდ პირველი დონის საკრედიტო რისკის კატეგორიის ფინანსური ინსტრუმენტებიდან, რომელთა რეკლასიფიკაცია არაა მოსალოდნელი მომდევნო 30 დღის განმავლობაში.“.

3. მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„1. ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი გამოითვლება და გამოიყენება ყოველი დღისთვის. ყოველი დღის ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტის ანგარიშგება ეროვნულ ბანკთან უნდა მოხდეს არაუგვიანეს მომდევნო 2 სამუშაო დღისა. თუ ბანკი ელოდება ამ დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ლიმიტების დარღვევას, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს ეროვნულ ბანკს.“.

ზემოაღნიშნული ბრძანების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 220010070.18.011.016756

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №996

2023 წლის 4 აგვისტოს საქართველოს ფინანსთა მინისტრის №297 ბრძანებით „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნა ცვლილება და 112-ე მუხლის მე-13 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„13. 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით შერჩეულ პირს არააქციზური საქონლის სავალდებულო მარკირების ნომინალური ღირებულება აუნაზღაურდება შემოსავლების სამსახურის მიერ, შერჩეულ პირთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.“

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

ზემოაღნიშნული ინსტრუქციის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდით: 200090000.22.033.017729

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდა 2023 წლის 1 აგვისტოდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ამავე ინსტრუქციაში, 2023 წლის 14 აგვისტოს საქართველოს ფინანსთა მინისტრის №300 ბრძანებით შეტანილ იქნა ცვლილება და 48^2 მუხლის შემდეგ დაემატა შემდეგი შინაარსის მუხლი 48^3:

„მუხლი 48^3. გაცვლის (ბარტერული) ოპერაციების შემთხვევაში დღგ-ით დასაბეგრი თანხის საბაზრო ფასით განსაზღვრა

თუ გაცვლის (ბარტერული) ოპერაციის ფარგლებში ხორციელდება უძრავი ნივთის მიწოდება, ოპერაციის თითოეული მხარისთვის დღგ-ით დასაბეგრი თანხა განისაზღვრება მისაღები საქონლის/ მომსახურების საბაზრო ფასით დღგ-ის გარეშე.

მაგალითი 1. საწარმოსა და ფიზიკურ პირს შორის გაფორმდა გაცვლის ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით, ფიზიკური პირი საწარმოს საკუთრებაში გადასცემს მიწის ნაკვეთს, ხოლო სანაცვლოდ, ამავე მიწის ნაკვეთზე საწარმომ უნდა ააშენოს შენობა-ნაგებობა, რომელშიც განთავსებული ფართების ნაწილს გადასცემს ფიზიკურ პირის საკუთრებაში. მიწის ნაკვეთის საბაზრო ფასია 236 000 ლარი.“

ზემოაღნიშნული ინსტრუქციის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდით: 200090000.22.033.017731

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

ამავე ინსტრუქციაში, 2023 წლის 15 აგვისტოს საქართველოს ფინანსთა მინისტრის №302 ბრძანებით შეტანილ იქნა ცვლილება და 46-ე მუხლის მე-4 პუნქტი (დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაცია); 77-ე მუხლი (აქციზის დეკლარაციის შესვება); 81^2 მუხლი (შერჩეული პირის მიერ აქციზური საქონლის სავალდებულო ნიშანდების/არააქციზური;საქონლის სავალდებულო მარკირების განხორციელებისას მეწარმე სუბიექტებისა და შერჩეული პირის უფლება-მოვალეობები); 112- ე მუხლის 66-ე და 67-ე პუნქტები (გარდამავალი დებულებები) ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

ზემოაღნიშნული ინსტრუქციის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდით: 200090000.22.033.017732

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №10/04

2023 წლის 4 აგვისტოს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №211/04 ბრძანებით კომერციული ბანკების მიერ მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების დაცვის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 11 თებერვლის №10/04 ბრძანებაში შეტანილ იქნა ცვლილება და დამტკიცდა მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების დაცვის წესი თანდართული რედაქციით.“.

ზემოაღნიშნული წესის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 220020000.18.011.016764

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №142/04

2023 წლის 4 აგვისტოს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №212/04 ბრძანებით „სავალუტო ბაზრის მონაწილეთა საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 21 ივლისის №142/04 ბრძანებაში შეტანილ იქნა ცვლილება და ამ ბრძანებით დამტკიცებული „სავალუტო ბაზრის მონაწილეთა საქმიანობის წესის“:

1. პირველი მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„3. ამ წესით განსაზღვრული ნორმების შესრულება სავალდებულოა საქართველოს სავალუტო ბაზარზე მონაწილე ლიცენზირებული კომერციული ბანკებისთვის, ლიცენზირებული მიკრობანკებისთვის, ლიცენზირებული საბროკერო კომპანიებისთვის და რეგისტრირებული მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის, რომლებიც საქმიანობენ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიერ დამტკიცებული „ბლუმბერგის სავაჭრო სისტემის გამოყენებით ვალუტით ელექტრონული ვაჭრობის წესის“ შესაბამისად (შემდგომში „ორგანიზებული ბაზარი“).“.

2. მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

„ბ) სავალუტო ბაზარზე მონაწილეობა – სავალუტო ბაზარზე მონაწილეობად მიიჩნევა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული კომერციული ბანკების, მიკრობანკების, საბროკერო კომპანიების და რეგისტრირებული მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ ერთმანეთთან ან კლიენტებთან სავალუტო გარიგების რეგულარული განხორციელება;“

ზემოაღნიშნული წესის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 220090000.18.011.016761

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება №2-645

2023 წლის 9 აგვისტოს დამტკიცდა თანდართული „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ, სამართალდარღვევის საქმეზე გამოტანილი დადგენილების/საჩივართან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების საჯაროდ გამოქვეყნების წესი“.

ზემოაღნიშნული წესის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 360100000.22.023.016823

ბრძანება ამოქმედდა 2023 წლის 4 სექტემბრიდან.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №257

2023 წლის 23 აგვისტოს „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანების დამტკიცებული „დროებით შემოტანის პროცედურის შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №11) მე-8 მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„8. საქართველოს ფინანსთა მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ, განსაკუთრებულ შემთხვევებში, არ მოქმედებს დროებით შემოტანის პროცედურაში საქონლის მოქცევის საერთო ვადის საქართველოს საბაჟო

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

კოდექსის 139-ე მუხლის მე-4 ნაწილით დადგენილი 10-წლიანი შეზღუდვა, მათ შორის, თუ აღნიშნული საქონელი გამოიყენება:

ა) ქვეყნისთვის სტრატეგიული პროექტის განსახორციელებლად;

ბ) მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტის განსახორციელებლად;

გ) მნიშვნელოვანი სოციალური პროექტის განსახორციელებლად;

დ) საგანმანათლებლო, სამეცნიერო ან კულტურული დანიშნულებით.“.

ზემოაღნიშნული ინსტრუქციის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 230210000.22.033.017734

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიმართულებით განგრძობითი განათლების მიღების წესი

2023 წლის 23 აგვისტოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ბრძანება №ნ-8-ით დამტკიცდა „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიმართულებით განგრძობითი განათლების მიღების წესი“.

ზემოაღნიშნული წესის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 260000000.64.076.016124

ბრძანება, გარდა ამ ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-5, მე-9 და მე-10 მუხლებისა ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის ბრძანება №24

2023 წლის 25 აგვისტოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის №39 ბრძანებით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2022 წლის 25 ივლისის №24 ბრძანების დამტკიცებულ „ნავსადგურის წესებში“ შეტანილ იქნა ცვლილება:

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

ა) წესის დანართი №7 ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული წესის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 310040000.55.067.016165

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის ბრძანება №1

2023 წლის 31 აგვისტოს დამტკიცდა თანდართული „ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციების რეესტრის წარმოების წესი“ დანართი №1-ის შესაბამისად. ასევე, დამტკიცდა თანდართული ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციების რეესტრის ფორმა დანართი №2-ის შესაბამისად.

ზემოაღნიშნული წესის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 050040000.48.065.016032

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №255

2023 წლის 3 აგვისტოს საქართველოს მთავრობის №284 დადგენილებით „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებაში შეტანილ იქნა ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების“ 16^1 მუხლი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით (კონსტრუქციული პროექტი).

ზემოაღნიშნული დადგენილების ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 300310000.10.003.024117

დადგენილება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

საქართველოს მთავრობის დადგენილება №291

2023 წლის 8 აგვისტოს „შრომითი მიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის, მე-9 მუხლის „ბ“ „გ“ „დ“ „ე“ და „ი“ ქვეპუნქტების, 134 მუხლის, 135 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და მე-17 მუხლის 11 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამტკიცდა „სერტიფიცირებული საშუამავლო კომპანიის მიერ შრომითი მიგრაციის სფეროში განხორციელებული საქმიანობის შესახებ ანგარიშის წარდგენის წესი“ (დანართი №1) და „ადგილობრივი დამსაქმებლის მიერ საქართველოში დასაქმებული შრომითი იმიგრანტის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის წესი“ (დანართი №2).

ზემოაღნიშნული წესის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 270000000.10.003.024124

დადგენილება ამოქმედდა 2023 წლის 1 სექტემბრიდან.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №511

2023 წლის 30 აგვისტოს საქართველოს მთავრობის №334 დადგენილებით „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ტექნიკური რეგლამენტის – „ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრების შენობა-ნაგებობების, აღჭურვილობისა და პერსონალის ტექნიკური კვალიფიკაციის მიმართ მოთხოვნების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 1 დეკემბრის №511 დადგენილებაში შეტანილ იქნა ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„პ) ერთიანი ელექტრონული ბაზა – საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის მიერ შემუშავებული პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ერთიანი ელექტრონული პროგრამა, რომელშიც ჩართულია ყველა ინსპექტირების ცენტრი და რომელიც უზრუნველყოფს ინსპექტირების ცენტრებიდან მიღებული მონაცემის ერთიან საინფორმაციო სისტემაში თავმოყრას, მიღებული მონაცემის გადამოწმებასა და დადასტურებას, ინსპექტირების ცენტრებისთვის ინსპექტირების მიზნებისთვის საჭირო მონაცემებზე წვდომას, ინსპექტირების შედეგების ანალიზს, მრავალმხრივი სტატისტიკის წარმოებას, უფლებამოსილი საჯარო დაწესებულებისთვის

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

(საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი, სსიპ – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი, სსიპ – სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი), მათ კომპეტენციაში შემავალი ამოცანების განხორციელების მიზნით, ინსპექტირების შედეგებზე (გარდა მომხმარებლის პერსონალური მონაცემებისა) გამარტივებულ წვდომასა და მონაცემის უსაფრთხოდ მიმოცვლას. ინსპექტირების ცენტრის მიერ ერთიან ელექტრონულ ბაზაში შესატანი ინსპექტირებასთან დაკავშირებული მონაცემები (რომლებიც არ ითვალისწინებს მომხმარებლის პერსონალური მონაცემების ჩამონათვალს) განისაზღვრება სსიპ – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის გენერალური დირექტორის განკარგულებით.“.

ზემოაღნიშნული რეგლამენტის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 300160070.10.003.024167

დადგენილება ამოქმედდა 2023 წლის 4 სექტემბრიდან.

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge